



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბაქარიადე ალექსანდრე ყარამანის ძე

ბაქარიადე ალექსანდრე ყარამანის ძე (15. II. 1884, სოფ. ქვედა სიმონეთი, ქუთაისის მაზრა, – 1957, პარიზი), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალი (1919). რუს. იმპერიის არმიის პოლკოვნიკი (1915). პოლონეთის არმიის ბრიგადისა (1923) და დივიზიის გენერალი (1927). 1900 დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი. 1901-03 სწავლობდა თბილ. იუნკერთა სასწავლებელში. 1903-იდან მსახურობდა 79-ე ქვეით, შემდეგ სამარის 147-ე ქვეით პოლკებში. რუსეთ-იაპონიის ომის დროს მუკდენტან ბრძოლაში (1905) თავში მძიმედ დაიჭრა. 1909-12 სწავლობდა გენშტაბის აკადემიაში. იყო კაზაკთა მე-3 დივიზიის შტაბის უფროსი (1914), 27-ე კორპუსის შტაბის ოფიცერი (1915), ლიტვის მე-2 მსროლელი დივიზიის შტაბის უფროსი (1917). მონაწილეობდა I მსოფლიო ომში. 1917 დაბრუნდა საქართველოში. იყო ეროვნ. საბჭოს სამხ. კომისიის შტაბის უფროსი (1917), ქართ. კორპუსის შტაბის უფროსი (1918), საქართვე. გენშტაბის უფროსი (1919-21). 1922-იდან მსახურობდა პოლონეთის არმიაში. 1939 პოლონეთის არმიის რიგებში იბრძოდა გერმანელთა წინააღმდეგ. პოლონეთის ოკუპაციის პერიოდში ზ. 5-ჯერ დააპატიმრეს, გადარჩა ვერმახტის ოფიცრების ჩარევით. 1945-48 იმყოფებოდა გერმანიაში, ინგლისელთა საოკუპაციო ზონაში, შემდეგ ცხოვრობდა საფრანგეთში. ემიგრაციაში ზ-მ დაწერა მოგონებები – „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-21 წწ.)“. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე. ზ. დაჯილდოებულია წმ. გიორგის, წმ. ანას, წმ. სტანისლავის, წმ. ვლადიმირის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით, წმ. გიორგის ხმლითა და ინგლისის საბრძოლო ჯვრით.

ლიტ.: უ რ უ შ ა ძ ე ლ., ევროპა და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, თბ., 2005; შ ა რ ა ძ ე გ., გენერალი ალექსანდრე ბაქარიადე, «მხედარი», II, 1992; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ნ., ქართველი მხედრები პოლონეთის დროშის ქვეშ, თბ., 1998.

